ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მასამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—6 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. — კვირა, ენკენისთვის 5. 1920 წ. № 92 — ფასი 10 მანეთი



## ეროვნულ-დემოკრატიული

**×× პარტიის მთავარი კომიტეტი ××**

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

---

ქ. ზესტაფონის ვაჭრები ღრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმას, ვინც მარიამობისთვის 31 ს ჩვენი ამხანაგის და საზოგადო მოღვაწის

### ტრიფონ ანდრიას ძე ნიორაძის

დაკრძალვას პატივი სცეს თავიანთი თანადასწრებით.

---

ქ. ზესტაფონის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის საბჭო და გამგეობა ღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც მარიამობისთვის 31-ს ჩვენი საბჭოს წევრის

### ტრიფონ ანდრიას ძე ნიორაძის

დაკრძალვას პატივი სცეს თავიანთი თანადასწრებით.

---

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზესტაფონის სამაზრო კომიტეტი ღრმეს მადლობას უთვლის ყველა იმ პირთ, ვინც მარიამობისთვის 31-ს ჩვენი სამაზრო კომიტეტის ენერგიულ წევრის

### ტრიფონ ანდრიას ძე ნიორაძის

დაკრძალვას პატივისცეს თავიანთი თანადასწრებით.

---

განსაკუთრებულად შემდგარ დამკრძალავი კომიტეტი ამით აუწყებს რომ გარდაცვალებულ ცნობილ საზოგადო მოღვაწის

### ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას დილის 10 საათზედ ქვაშეთის ეკლესიაში, რომლის შემდეგ წარმოითქმება სიტყვები, ორშაბათს დილის 9 საათზედ მცირე პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ ს. წინამძღვრიანთ კარში და სამშაბათს 7 სექტემბერს დაასაფლავებენ მისგან დაარსებულ სასწავლებელის ეზოში. 1-1 3110

---

ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება აუწყებს თავის წევრთ რომ 2 სექტემბერს გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრი მცხოვანი მოღვაწე

### ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილი

წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირას 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე. ცხედარს გაასვენებენ ორშაბათს 6 სექტემბერს, დილის 9 საათზე, მცირე პანაშვიდის შემდეგ, ქვაშეთის ეკლესიიდან სოფ. წინამძღვრიანთ კარში, სადაც მოხდება დაკრძალვა სამშაბათს, 7 სექტემ. 1-1 3108

---

სრულიად საქართველოს „მეღვინე მევენახეთა" ყრილობათა საბჭო გულის მწუხარებით აუწყებს სასიქადულო მამულიშვილს მცხოვან მოღვაწის

### ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილის

გარდაცვალებას, წირვა და პანაშვიდი კვირას დილის 10 საათზე ქვაშეთის ეკლესიაში 1-1 3111

---

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

### „ახალი სხივზე"

გაზეთი გამოდის გრიგოლ ურატაძის რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა „ახალ სხივს" 6—3

---

## ქართული დრამის დირექცია

### იწვევს თანამშრომელ

### ქალ-ვაჟებს

გამოცდა ოთხშაბათს 2! ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ქართული დრამის თეატრის სცენაზე (ყოფილი არტისტ. საზოგადოების თეატრი) პირობების გაგება იქვე, ყოველდღე, დღის 2-ის ნახ. საათამდე, სამხატვრო ნაწილის გამგე-დირექტორთან.

---

## მეორე ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ კვირას 5 ენკენისთვეს, დილის 10 საათზედ დანიშნულია **საგანგებო კრება** დღიური წესრიგი:

### საზამთრო ბინის საკითხი

თუ კრება არ შესდგა დილის 10 საათზედ, მეორე კრება დანიშნულია ამავე დღეს დილის 11 საათზედ 1—19—1

---

## სახელმწიფო თეატრი

### ბალეტის სკოლა

იღებენ მოწაფეებს **ვაჟ და ქალთ** 9 დან 16 წლ. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11 დან 2 საათ. გამოცდა 15 სექტემბერს.

სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი**

---

## „ქართული კლუბი"

**ორშაბათს 6-ს სექტემბერს 1920 წ.**

### „სიმფონიური ორკესტრი"

**პ. ი. ჩაიკოვსკის** ნაწარმოებიდან

**ვ. ა. მინიარის** ლოტბარობით და გამოჩენილ ვიოლონჩელზე დამკვრელ პროფ. **ე. ი. გელოუსოვის** მონაწილეობით.

დასაწყისი საღ. 9 საათზე ბილ. ფასი 20-მ. 120 მან.

---

ქ. ლანჩხუთში დაარსდა გ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

## გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის **ორი მილიონი მანეთი**

თითო აქცია ღირს **1000** მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად **50** მან. თითო ხმის უფლებას ანიჭებს **5** აქცია. აქ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი დირებულება **500** მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის **500** მან. ე. ი. თითო აქციაზე **55** მან.

საზოგადო ოფიციალურ ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს და პარასკევს ამა სექტემბერს: ლანჩხუთში—საურთიერთო ბანკში. თბილისში—ცენტრო ბანკში. ქუთაისში—ვლადიმერ იაგორისძე გვარჯალაძესთან. ფოთში—ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში—მოსე იაგორისძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში—ელისე ანთელაძესთან. სამტრედიაში—სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილთან და სუფსაში—კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

1—3075—7

გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

---

**××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××**

## დავით იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

### კონიაკის, არაყის და ლიკიორის

**ნ. აივაზოვისა**, ყოფილი სავაჭრო სახლი ამხ. **სეილანოვებისა** პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა **კალანდაძის** ფირმით — სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27


## საქართველო და აზერბაიჯანი

მოსკოვის დამატებითი ხელშეკრულების ძალით ზოგიერთი მომენტი საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის არსებულ დამოკიდებულებისა ისევ გადაუჭრელი დარჩა. მიუხედავად იმისა რომ ჩვენმა მთავრობამ ომი „წითელ" აზერბაიჯანთან დასრულებულად გამოაცხადა, მაინც გამოუცნობია ჩვენთვის-რა ურთიერთობა არის დამყარებული შეიარაღებულ კონფლიქტის შემდგომ ამ ორ სახელმწიფოთა შორის. დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ცხადი იყო ჩვენთვის, რომ საქართველოს არ ასცდებოდა დავა აღმოსავლეთ მეზობელთან და ამის საბაბი უნდა ყოფილიყო ის შეურიგებელი პოზიცია, რომელიც აზერბაიჯანმა დაიკავა ჩვენსა და მის შორის ტერიტორიულ გამიჯვნის საკითხში. ეს იყო დრო, როდეს

# დღეს

ინგლისის კომუნისტთა კონფერენციამ ერთხმად უარჰყო საბჭოთა რუსეთის ბრძოლის მეთოდი.

მეორე ინტერნაციონალის კონფერენციამ ჟენევაში საბჭოთა რუსეთისა და მესამე ინტერნაციონალის წინაალმდეგ ბრძოლის გეგმა შეიმუშავა.

უკრაინაში ბოლშევიკების წინაალმდეგ აჯანყებაა.

ბელგიის პრესის ცნობით რუსეთში მხოლოდ ის მთავრობა იარსებს, რომელიც ახლად აღმოცენებულ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას არ შეეხება.

ბოლშევიკური ცნობით ლიტვასა და ლატვას შორის სამხედრო მოქმედებაა.

ამერიკის ფლოტი ბალტიის ზღვაში შევიდა.

ავიატორ როჟემ მთელი დედამიწა შემოიარა და რომში ჩამოფრინდა.

იტალიის პრეზიდენტმა სადარბაზოდ მიიღო საგ. საქ. მინისტრი ევგ. გეგეჭკორი.

ბათომის ქალაქის თავად გ. ანჯაფარიძე აირჩიეს.

ბათომში მიღებული ცნობების თანახმად სოჭა და ტუაპსე ბოლშევიკებმა დაიბრუნეს.

## წერილები:

მეთაური: საქართველო და აზერბაიჯანი.
ნ. აზიანი: თაბხებზე საუბარი.
ფელეტონი: გრ. რობაქიძე ოფორტი ბიბლიოგრაფია.
ჩვენი კორესპონდენცია:
ტყვიავი ახუთი.

---

ფანატიკოს პანისლამისტებისა და პანთურქისტების აზროვნებაში ერთიმეორეზე ფანტასტიური პერსპექტივები ისახებოდა მაჰმადიან ყველა ქვეყნების გაერთიანებისათვის ბრწყინვალე პორტას მესვეურობით. ეს „საბოლოო მიზანი" ძვალრბილში გამჯდარი ჰქონდათ აზერბაიჯანის სახელმწიფო ხელმძღვანელებს განურჩევლად მიმართულებისა და სოციალური მდგომარეობისა. აზერბაიჯანის პოლიტიკოსებს ისევე თანდაყოლილი და შესისხორცებული აქვთ ეს მცნება, როგორც რუსეთის ყველა მიმართულების და სოციალურ კატეგორიის მომქმედ ძალებს იდეა „დიდი და განუყოფელი რუსეთის აღდგენისა"! მაშასადამე, საქართველოს პოლიტიკის მეთაურებისათვის იმ თავითვე გამორკვეული უნდა ყოფილიყო საკითხის მთელი შინაარსი და ამისდამიხედვით შესდგომოდნენ ტერიტორიის ამოხაზვას საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. ამ ჟამად არა ღირს აღნიშვნა იმ ყოვლად შემცდარი და მავნე გზისა, რომელსაც რესპუბლიკის მართებლობა დაადგა აზერბაიჯანთან სადავო მიწა-წყლის გადაწყვეტის საკითხში...

დამცინავ ბედმა ინება, რომ შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის მომხდარიყო სწორედ მაშინ, როცა უკანასკნელს სათავეში ამოუდგნენ უკიდურესი „ინტერნაციონალისტები" რუს-აზერბაიჯანელ ბოლშევიკების სახით. აქ ადგილი აქვს უცნაურ ფაქტს: აზერბაიჯანში გადატრიალების წინ საქართველოს მთავრობის რწმუნებული სამშვიდობო ხელშეკრულებას სდებს მოსკოვის მთავრობასთან და სხვა საკითხებთან ერთად კატეგორიულად აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიის ხაზს ოთხსავე მხრივ. რამდენიმე დღის შემდგომ ბაქოს კომუნისტები პროექტს უთვლიან მოსკოვს საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრების გაფართოების გამო... და ჩვენი წარმომადგენელიც იძულებული ხდება მიიღოს ეს "შესწორება" რომელიც ჩამოყალიბდა 12 მაისის დამატებითი ხელშეკრულებაში.

საქართველოსთან ომში აზერბაიჯანი სასტიკად დამარცხდა, მაგრამ სამწუხაროდ მამაცი ჯარის გამარჯვება სრულებით ვერ გამოვიყენეთ. „წყეული" ტერიტორიის საკითხი აზერბაიჯანთან ჩვენს სასარგებლოდ ვერ გადავჭერით და ამრიგად ესოდენ მსხვერპლმაც ამაოდ ჩაიარა. ჩვენი ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთის კუთხე 80 ვერსის სიგრძით და 110000 მცხოვრებით დღესაც აზერბაიჯანის ხელშია და მთელი უხვი სიმდიდრე ამ პროვინციისა აი ეხლაც ჩადის ბაქო-მოსკოვის გაუმაძღარ სტომაქში!

ფორმალისტობამ, სხვადასხვა „იურიდულ ნორმათა" შერყევამ, მეტად გაიტაცა ჩვენი მთავრობა და ვერც შეამჩნია, რომ კონტრაგენტი სადავო საკითხებს უვლის უფრო ფაქტიურად. ამის გამო სინამდვილეში ჩვენ ეხლაც ისევ დამარცხებული გამოვედით, როგორც თითქმის ყოველთვის.

არც რუსეთმა და არც მით უმეტეს მისმა ახლამ „წითელ" ახალშენმა აზერბეიჯანმა—არ შეასრულეს მოსკოვის ხელშეკრულება შესახებ ტერიტორიული საკითხის შეთანხმებით გამორკვევისა: საქართველო თანახმად ხელშეკრულებისა აწყსებს კომისიებს ზაქათლის ოლქისათვის და არც ჯარი შეჰყავს იქ; აზერბაიჯანი უარს აცხადებს კომისიის შედგენაზე (ფაქტიურად მაინც) და თავის ახალ „მფარველის" წითელ არმიელებით გაავსო უმდიდრესი კუთხე ჩვენი რესპუბლიკისა. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მთავრობას საპროტესტო ნოტაც არ გაუგზავნია მოსკოვ-ბაქოში ამ აშკარა უკანონო მოქმედების გამო!

ასეთს პირობებში და ურთიერთობაში ჩვენი მთავრობა მაინც „ახერხებს" სხვა და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლად თათბირს აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან, ამ თვის პირველში ჩვენს დედა ქალაქში მთავრობის თავმჯდომარის თანდასწრებით საქართველოს და აზერბაიჯანის რწმუნებულნი „შეთანხმებულან" რაღაც ეკონომიურ საკითხში...

ჩვენ მეტისმეტად გვაოცებს ასეთი ფაქტები!

რატომ არავინ შეეკითხა ბატონ ჰუსეინოვს უფრო დიდ და თავსამტვრევ საკითხების შესახებ?!

რას მოგვცემს ეკონომიური შეთანხმება, თუ სხვა სფეროები ჩვენი ურთიერთობისა კვლავ გატენილია ასაფეთქებელი მასალით?!

---

# დეპეშები

## ინგლისური პრესა.

**ინგლისის კომუნისტთა კონფერენცია.** „ტაიმსის" ცნობით ლონდონში შეიკრიბა ინგლისელ კომუნისტთა პირველი კონფერენცია. თავმჯდომარეთ არტურ მექმანუსი აირჩიეს. დელეგატების განწყობილება ზომიერია. გამოჩენილ მუშა მოღვაწემ სტიუარტმა განაცხადა: ინგლისის პროლეტარიატი უნდა ერიდოს ტყვიის მფრქვეველით გატაცებას ქი საცაც მხოლოდ გონიერებაა საჭირო. ორატორის აზრით ნამდვილ რევოლიუციონერად ყოფნა მხოლოდ მშვიდობიან კაცს შეუძლია: ვილიამსმა განაცხადა: ეს კონფერენცია თუმცა კომუნისტურია, მაგრამ ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ ინგლისელ მუშის აზრით ლენინი წინასწარმეტყველი არაა და მისი კომუნისტური რეცეპტი ინგლისისათვის მიუღებელია. ორატორები პროლეტარიატის დიქტატურის ძალმომრეობით განხორციელების წინააღმდეგ მიდის. ინგლისის მუშათა კლასის პოლიტიკის შესახებ გამოიტანეს რეზოლიუცია, სადაც შეუძლებლად არის აღიარებული კაპიტალიზმიდან პირდაპირ კომუნიზმში გადასვლა. კომუნიზმს წინ უნდა უძღვეს პროლეტარიატის კონტროლი მრეწველობაზე. გადასწყვიტეს ინგლისელ კომუნისტებმა ინგლისის მუშათა პარტიასთან თანხმობით ვიმუშაოთ. „ტაიმსის" ცნობით კონფერენციას ლენინის განმისალმების დეპეშა მიუღია ლენინიურ ჩევდა ამ მისალმებაში ინგლისელ კომუნისტებს უარი არ ეთქვათ პარლამენტარულ ბრძოლაზე.

**აჯანყება ფორმოზაზე.**

ტაიმსის ცნობით კუნძულ ფორმოზაზე, თავი იჩინა ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყებამ, იაპონელების წინააღმდეგ აჯანყების დასაქრობად გაიგზავნა იაპონელთა 150 ჯარის კაცი, რომლებიც აჯანყებულებმა საშინლად დაამარცხეს.

---

**ბოლშევიკები და პოლონელები.**

„ტანი" იუწყება: —ვარშავიდან მიღებულია ცნობები იმ წითელ არმიელთა ყოფაქცევის შესახებ, რომლებიც პოლონეთის ადგილებში დაატყვევს. წითელ არმიელები სძარცვავენ და ანადგურებენ მამულებს. ბოლშევიკების ცხენოსანი ჯარი მორალური მხრით ქვეითა ჯარზე გაცილებით მაღლა სდგას ბოლშევიკების ჯარში პოლონელები სრულიად არ მოიპოვებიან. იმ ადგილებში მცხოვრები გლეხობა, რომლებსაც ბოლშევიკები ემუქრებიან, პოლონეთის ჯარში ეწერება, ბელო ტოკის რაიონში ბოლშევიკებმა მძვლებათ წაიყვანეს მრავალი პოლონელი. მძევლები ყოველ წუთში დახვრეტას მოელიან. დაკავებულ ადგილებში ბოლშევიკებიართმევენ მცხოვრებლებს მთელ მოსავალს და აღმოსავლეთისაკენ გზავნიან.

**პოლონელების წინააღმდეგ აჯანყება.** „ტანი" იუწყება: ბოლშევიკების მიერ დაკავებული უკრაინის ტერიტორიიდან გამოქცეულები იუწყებიან ბოლშევიკ კომისრების წინააღმდეგ გლეხების აჯანყების შესახებ. სოფლებში შეადგინეს ცხენოსანთა და ქვეითა ნაწილების მთელი რაზმები". და აჯანყებულთა პოლკები თავს ესხმიან წითლებს და სრულიად ანადგურებენ. გლეხების ამ ორგანიზაციებს აქვს თავისი კონსტიტუცია და სამხედრო სასამართლო, რომელიც ქურდებს, ჯაშუშებს და გამცემლებს სასტიკათ ეპყრობიან.

**უთანხმოება გერმანიის კომუნისტებში.** ჰამბურგიდან მიღებულია ცნობები ადგილობრივ კომუნისტებსა და სპარტაკელებს შორის არსებულ დიდ უთანხმოების შესახებ: ამ ორ ორგანიზაციის შორის სრული განხეთქილება არის მოსალოდნელი.

**ბელგიის პრესა რუსეთის შესახებ.** ბელგიის პრესა იწონებს საფრანგეთის პოლიტიკას რუსეთის საკითხში. „ლ. ენდენპანდანს ბელჟ" აღნიშნავს, რომ მთლიანი და ძლიერი რუსეთის არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ მის სათავეში იქნება ანტიბოლშევიკური მთავრობა ვრანგელის მეთაურობით, რომელმაც დაისახა მიზნათ რუსეთის დემოკრატიზაცია, რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღიარების საფუძველზე.

**მეორე ინტერნაციონალის კონფერენცია ჟენევაში.**

ჟენევაში შემდგარ მეორე ინტერნაციონალის კონგრესის თავმჯდომარემ შოუმ განაცხადა, რომ მეორე ინტერნაციონალმა თავის მიზნათ მესამე ინტერნაციონალთან ბრძოლა უნდა დაისახოსო. შოუ აღნიშნავს, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობამ სოციალისტების ძალა მეტად შეასუსტა. რუსეთის და გერმანიის მუშები შიმშილობენ. უნგრეთი და ფინლიანდია რეაქციის საშიშროების ქვეშ იმყოფება, საჭიროა გაერთიანება. მეორე ინტერნაციონალმა მესამე ინტერნაციონალისა და საბჭოთა მთავრობის ეგოისტურ და ბეც პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი უნდა განაცხადოსო.

**ამერიკის ფლოტი ბალტიის ზღვაზე.** კრეისერმა პიტსბურგმა და ამერიკის სხვა ნაღმოსნებმა ბრძანება მიიღეს ბალტიის ზღვისაკენ გამგზავრების შესახებ, ამერიკის ესკადრას სარდლობს კონტრ-ადმირალი რუზე.

## მოსკოვის ცნობები.

**მოსკოვი, სექტემბრის 4 სამხედრო ცნობა.**

(დასაწყისი არ მიგვიღია) ვოლინსვლადიმერის რაიონში მტერი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ ასზე მეტი ტყვე. ლვოვის რაიონში ჩვენზე შემოტეული მტერი დავამარცხეთ და დასავლეთისაკენ უკან დავხიეთ. წამოვიყვანეთ 300 ტყვე, ხელთ ჩაგვივარდა 3 ზარბაზანი და ათამდე ტყვიისმფრქვეველი. ყირიმის მხარეში ბრძოლა გრძელდება. სექტემბრის 1 უკრაინასა და საბჭოთა მთავრობები ....(გამოტოვებულია).. მზათ არიან მოლაპარაკება აწარმოონ რიგაში იმ პირობით, რომ რუსეთისა და უკრაინის მთავრობასთან თავისუფალ დამოკიდებულება იქონიონ და პირვენულად ხელშეუხლებელნი იყვნენ. რუსეთ უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა იოფფე, რომელსაც მიეცა რწმუნებულება აწარმოოს საბოლოოთ მოლაპარაკება და ხელი მოაწეროს დროებითსა და წინასწარ ზავს.

**მოსკოვი სექტ. 4.** სავუზ. აღმ. კომიტეტმა მდიდარ გლეხობას ჩამოართვა (დამახინჯებულია) მოხალისეთა რაზმებს 3500 ცხენი, რომელიც ვრანგელს ეგზავნებოდა.

მონ სტერსა და ეკლესიებში გაქცეულმა ბურჟუაზიამ დიდძალი ქონება დამალა. საწყობები აღმოაჩინეს.

**ლიონი ენკენ: 2.** ვარშავაში მოვიდა ვრანგელის გენერალი მარკოვი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს პოლონელებისა და ვრანგელის შეერთებული მოქმედების შესახებ.

**ოდესა აგვ. 30** საფრანგეთის მთავრობამ ვრანგელთან წარმომადგენელათ დანიშნა ან ერლიხი, ყოფილი მისიის წევრი კოლჩაკთან და შემდეგ დენიკინთან. სევა სტოპოლში დაბრუნდა ვრანგელის ფინანსთა მინისტრი ბერნაცკი. ის ევროპაში და ამერიკაში აგროვებდა იმ ქონებას, რომელიც კოლჩაკსა და დენიკინის დროებით მთავრობას დარჩა.

**დენიკინის განცხადება.**

გენერალმა დენიკინმა ინგლისურ გაზეთებში დაბეჭდა წერილი, სადაც აცხადებს რომ ლორდ კერზონს მასთან არ ვითარი მოლაპარაკება არ ქონია. (შემდეგ გამოტოვებულია) თავის წერილის დასასრულს დენიკინი ამბობს: თუ ბოლშევიზმი არ მოისპობა, დაიღუპება არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი ევროპაო.

**მოლაპარაკება რუსეთისა და ინგლისის შორის.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ინგლისის მთავრობისაგან ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა მიიღო. ცნობაში ნ-თქვამია: „საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული საზავო პირობა იმის შესახებ, რომ პოლონეთში სამხედრო ძალები მუშებისაგან შედგეს, არავითარი შემთხვევაში არ არის მისაღებიო. ამიტომ ინგლისის და იტალიის მთავრობები მოითხოვენ, რომ საბჭოთა მთავრობამ უარყოს აღნიშნული საზავო პირობა ვინაიდან ჩვენი სურვილია, არა მარტო პოლონეთთან ომის შესწყვეტა, არამედ დიდ ბრიტანეთთან ზავის ჩამოგდებაც, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ წავიღეთ დათმობაზე ამ საკითხშიაც. ამ რიგად ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დიდ ბრიტანეთსა და ჩვენ შორის პოლონეთის საკითხის შესახებ სრულია შევთანხმდებით. საბჭოთა მთავრობამ ინგლისის მთავრობას გაუგზავნა საპასუხო ნოტა: ლონდონში მყოფი ჩვენი საზავო დელეგაცია დიდ ბრიტანეთსა და რუსეთ შორის საზავო მოლაპარაკების დასაწყებად არავითარ დაბრკოლებას აღარ ხედავს

ინგლისის მუშებს კომიტეტმა ლოიდ-ჯორჯს და კამენევს შემდეგი დეპეშა, მიმართა კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ საზავო პირობების სადავო პირობების სადავო მუხლზე უარი განაცხადა. კომიტეტი მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნოს ის საზავო პირობები, რომელზედაც იგი დასთანხმდება საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდების.

## სტამბოლის ცნობები.

**ბოლშევიკების შეთქმულება ამერიკაში.** სტამბოლი. 28 მარიამობისთვეს „ბოსფორი" ვაშინგტონიდან მიღებულ შემდეგ დეპეშას ბეჭდავს: ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ მოსკოვის მთავრობის აგენტების დიდი შეთქმულება აღმოაჩინა. როგორც გამოირკვა ბოლშევიკების მიზანი იყო შეკუმშვის და აგიტაციის საშუალებით ამერიკის სხვა და სხვა ქალაქებში არეულობის გამოწვევა და ამასთან ნავე ზოგიერთ ფაბრიკებისა და ქარხნების აფეთქება.

**ბათომი. ენკ. 4** აქ მოსული ცნობების თანახმად ტუაპსე და სოჭი ისევ საბჭოთა ჯარებს დაუბრუნებიათ. ტუაპსეში ბოლშევიკებს ხელში ჩაუგდიათ გემი „ათინა" და „პამიატაზოვა", რომელნიც ქერჩის ნავთსადგურთან მოდიოდნენ.

**ბათომი. ენკ. 4** „იუჟნ. როსიის" მარ. 26 ნოემ. სწერს: გენ. ვრანგელის წარმომადგენელმა პარიზში სამხრეთ რუსეთის სახელით განაცხადა: ეს მთავრობა დამცველია ეროვნული იდეისა და თავისთავზე ღებულობს რუსეთთან დადებულს ხელშეკრულებასა.

## ლიონის ცნობები.

პოლონეთის სექტემბრის პირველის ცნობა ბუდიონის სასტიკ დამარცხებას აღნიშნავს.

**ავიატორი როჟე.** ავიატორი როჟე ჩამოფრინდა. როჟემ მთელი დედამიწა შემოიფრინა

**პოლონეთის საზავო მოლაპარაკება.** „პტი პარიზიენმა" რუსეთ პოლონეთის საზავო მოლაპარაკების შესახებ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი საპეგის განცხადება მოათავსა. პოლონელებსაც და ბოლშევიკებსაც ზავი სურთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მტრებს ისევე ჩვენ. გამარჯვებული პოლონეთი არ წარუდგენს საბჭოთა მთავრობას ისეთ მძიმე პირობებს, როგორც მან ჩვენ წარმოგვიდგინა. ბოლშევიკების პირობებს, რომელიც 15 მუხლისაგან შესდგება არ განვიხილავენ არც რიგაში და არც რეველში. მინსკში მომხდარმა მოლაპარაკებამ მოამზადა შეთანხმების ნიადაგი პოლონეთი არ განიარაღდება მანამ, სანამ საერთო განიარაღება არ მოხდება. საჭიროა, რომ ჩვენ შორის რაციონალური საზღვარი დაიდვას. მინისტრი არ ფიქრობს, რომ ტერიტორიალური საკითხი შექმნის რაიმე დაბრკოლებას. მე მგონია, დაუმატა მან, რომ რიგის ან რეველის მოლაპარაკება ზავის სწრაფი ჩამოგდებით დასრულდება, რაც ორივე მხარის სურვილს წარმოადგენსო.

სექტემბრის 2 ის პოლონეთის ცნობა აღნიშნავს, პოლონეთის ჯარის ხელვალკაში შესვლას, ხალხი პოლონელებს აღტაცებით მიეგებება. ზამოსტიეთთან სასტიკ დამარცხების შემდეგ გენერალი ბუდიონი ყოველგვარ ზომებს ხმარობს. რათა თავისი ნაწილები საბოლოოთ განადგურებისაგან გადაარჩინოს.

**ანტიფრანგული აგიტაცია ჰამბურგში.** ჰამბურგში საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია კვლავ გაძლიერდა პრესა თავისი მკვახე წერილებით მცხოვრებლებში აღელვებას იწვევს. საფრანგეთის წინაალმდეგ მთელი ქალაქი მოფენილია პლაკატებით, რომლებიც მცხოვრებლებს მანიფესტაციისაკენ მოუწოდებს. მოსალოდნელია ექსცესები. მმართველი პირები არავითარ ზომებს არ მიმართავენ. რომ მოსალოდნელი ინციდენტი თავიდან აიცდინონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გერმანიის პრესა, განსაკუთრებით ისეთი დიდი გაზეთი, როგორიც არის „ფრანკფურტერ" ცაიტუნგი. თავის თავს ნებას აძლევს შეუმოწმებლად ბეჭდოს სენსაციური დეპეშები, ჩვენში მხოლოდ გაკვირვებას იწვევს. საარბრიუკენის ლანდეს ცაიტუნგი ამბობს, რომ საჭირო იყო იმ ცნობების შემოწმება, რომლებიც რეინის მარცხენა ნაპირებიდან მოვიდაო, წინაალმდეგ შემთხვევაში ფრანკფურტის გაზეთი საარის ტერიტორიის საქმეს ცუდ სამსახურს გაუწევსო.

## გერმანული პრესა.

(დასაწყისი არ არის მიღებული) მინისტრმა განაცხადა: საფრანგეთის დაჟინებითი მოთხოვნილებით ჟენევის კონფერენციის დამოუკიდებლად შესდგება ბრიუსელის კონფერენცია და საერთაშორისო ფინანსიური პროგრამის გამომუშავების დროს გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა მხედველობაში არ იქნება მიღებულიო.

**სიმონსის პოლიტიკის დადასტურება.**

პოლიტიკური პარტიები დაწყებული გერმანიის ნაციონალისტებისავან გათავებული დამოუკიდებელ სოციალისტებით სიმონსის საგრაეო პოლიტიკას იწონებენ. ყველა პარტია იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის მოთხოვნილება გამოწვეული ბრესლავლის ინციდენტით, მიუღებელი იქნება თუ არ შეიცვალა ის მუხლები, რომლებიც გერმანელების სახელს არ შეეფერება, იმედს გამოსთქვამენ, რომ მთავრობა საფრანგეთის ელჩს ლორანთან მოლაპარაკების დროს შესძლებს ამ მოთხოვნილებაში ცვლილებათა შეტანასაო.

**ზემო სილეზია.**

ზემო სილეზიაში პლებისციტის მომწყობ გერმანიის კომისარიატმა გენერალ ლერონს მიმართ დეპეშით, რომელშიაც აღნიშნავს რა პოლონეთის ძალადობას, მოითხოვს რომ მოკავშირეთა კომისიამ მიიღოს ყოველგვარი ზომა ძალადობათა მოსასპობად. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიამ ოსთხოვა მთავრობას წარმოადგინოს სრული სია პოლონელთა მიერ ჩადენილ ძალადობისა და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელთა დაუდევრობისა. რეზოლიუცია ამ მოთხოვნილების შესახებ მიიღეს ყველა პარტიის თანხმობით, გარდა დამოუკიდებელ სოციალისტებისა.

**დამოუკიდებელი სოციალისტები და ბოლშევიკები.**

გერმანელ დამოუკიდებელ სოციალისტების ლიდერების საერთო კონფერენციაზე მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთების საკითხის გამო შეთანხმება კიდევ არ მოხდა. მაშინ როდესაც დოიმიგი მოითხოვდა მასთან შეერთებას, კრისპინი ამს წინაალმდეგი იყო.

**გერმანეთი და პოლონეთი.**

გერმანიის მთავრობამ პოლონელების მიერ აღმოსავლეთის პრუსიის საზღვრების დარღვევის გამო ვარშავაში პროტესტი განაცხადა.

ბერლინიდან ოფიციალურად იუწყებიან საფრანგეთის მიერ წარდგენილი მოთხოვნილებანი გერმანიის მთავრობამ მიიღო.

## ელინთა მისიის ცნობები.

**ბერძნები და ქემალისტები.**

გენერალ პარასკევოპულომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: ჩემის აზრით ქემალისტთა მოძრაობის აღმოსაფხვრელად და ზავის პირობების შესასრულებლად ბერძნების ჯარს მცირე აზიის შიგაგულში შეჭრა მოუხდებაო.

**ბულგარეთი და საბერძნეთი.**

ბულგარეთის პრემიერ მინისტრმა სტამბოლისკიმ პრესაში შემდეგი განაცხადა: მე დარწმუნებული ვარ, რომ მანამ, სანამ საბერძნეთს ვენიზელოსი განაგებს, საბერძნეთი ბულგარეთს თავს არ დაესხმება. კიდევ მეტად, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს გამოჩენილი პოლიტიკოსი ამ ორ სახელმწიფოს დაახლოვებლად იმუშავებს. ბულგარეთის ხალხი ყოველთვის ცდილობდა სერბიასთან მეგობრობასო.

**ბალკანეთის სახელმწიფოთა შეთანხმება.** ჩეხო-სლოვაკური პრესა დიდი აღფრთოვანებით ეგებება ბუქარესტში მომხდარ შეთანხმებას. ეს შეთანხმება განამტკიცებს ბალკანეთის სახელმწიფოთა სამშვიდობო პოლიტიკას.

**რუმინეთი.**

უარყოფენ ხმებს რუმინეთში საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ.

**თურანის საკითხი.**

„პეიამ საბაჰში" დაბეჭდილია დიდი წერილი სათაურათ "თურანისაკენ" გაზეთი აღნიშნავს იმ უმზგავსოებას, რომელსაც ანატოლიაში აქვს ადგილი და ამბობს: ეს ნიადაგს უმზადებს საბერძნეთის ანატოლიის საქმეებში. ელინთა ჯარმა შეიძლება თავი ამოყოს ანგორასა და კონიეში.

**ალბანეთი და იტალია**

ალბანეთის მთავრობამ იტალიას პროტესტი მიმართა სერბიის ჯარის ჩრდილოეთ ალბანეთზე თავდასხმის გამო სომეხთა საპატრიარქომ მიიღო ცნობა ბოლუში ქემალისტების მიერ სომხების დარბევის შესახებ. მოკლე დაახლოებით 600 სომეხი 300 სომეხი გადარჩენის მიზნით ზუნგულდაკში მისულა.

სექტემბრის 24, ბრიუსელში ფინანსიურ საკითხების გასარჩევად საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნება. ხალხთა ლიგამ გერმანიის, ავსტრიის უნგრეთის და ბულგარეთის მთავრობებს თავის წარმომადგენლების გამოგზავნა სთხოვა.

„ტანი" გადმოგვცემს: თანახმად ვარშავიდან მოსულ ცნობებისა, პოლონეთის სამხედრო წრეებს ხელთ უგდიათ საყურადღებო გერმანელი დოკუმენტები, რომელშიც აშკარავებს კავშირს ბერლინსა და მოსკოვს შორის. ჯარების სულიერი განწყობილება საუცხოვოა. პოლონეთის ჯარების ნაწილებში ფრანგ-ოფიცრების ახალი ჯგუფი გაიგზავნა.

## † ილია წინამძღვრიშვილი.

ხუთშაბათს, ენკენისთვის 2-ს, დამით თბილისში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ივანესძე წინამძღვრიშვილი.

განსვენებული, მართალია, ღრმად მოხუცებული იყო, 87 წლისა, მაგრამ უკანასკნელ ხანამდე არ მიუტოვებია საზოგადო ასპარეზი.

ამ მოკლე წერილში აღწერა ისეთ დიად მოღვაწისა, როგორც განსვენებული ილია იყო, ყოვლად შეუძლებელია.

ამ ჟამად კი უნდა აღვიშნოთ მთავარი ეტაპები განსვენებულის მოღვაწეობის.

თბ. კეთილშობილთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ განსვენებული პირველად გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, მთელი 35 წელი მომრიგებელ მოსამართლედ იყო თბილისის მესამე უბნისა და თვის კეთილ სათნო და ფაქიზ ბუნებით დაიმსახურა დიდი რეპუტაცია ფართე მასსაში.

მაგრამ განსვენებულის მთავარი ამაგი, რომლითაც მთელი საქართველო იცნობს დღესაც განსვენებულს ილიას, ეს გამოიხატა სასოფლო სამეურნეო სკოლის დაარსებაში სოფ. წინამძღვრიანთ კარში, ამ სკოლის დიადი როლი გამოიხატა იმაში, რომ დღიდან დაარსებისა 1883 წელს, იმ მძიმე რეჟიმის დროს, ვიდრე დღემდე, სწავლება ყველა საგნებისა ამ სკოლაში დედა ენაზე სწარმოებდა. ამ სკოლამ არა ერთი და ორი გამოჩენილი მოღვაწე მოგვცა სასოფლო სამეურნეო დარგში. მადლიერმა საზოგადოებამ დიდის ზეიმით იდღესასწაულა ამ რამდენიმე წლის წინად ამ სკოლის 30 წლის არსებობის თავი და ამ დღესასწაულს დაესწრო საქართველოს ყველა კუთხის წარმო-

განხსნაზე გახლდათ, რომ ჩვენმა სულ-მნათმა ილია ჭავჭავაძემ წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა, რომელიც შეტანილია ყველა სახელმძღვანელოებში, და რა თქმა უნდა, სიტყვა იგი ღიად ძეგლად დარჩება განსვენებულის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

**პირველი პანაშვიდი.**

განსვენებულის გვამი შაბათს ენკენისთვის 4-ს, გადმოსვენებულ იქმნა ქვაშვეთის ეკკლესიაში და ტროპიულ მცენარეებით იქმნა შემკული. გუშინ, სექტემბრის 4-ს, შუადღისას გადახდილ იქმნა პირველი პანაშვიდი, რომელსაც დაესწრენ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე, დამფუძნ. კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამ. ე თაყაიშვილი, მცოვანი თავმჯდომარე ქ. შ. წერა-კითხვ. ს გამგეობის გენ. გ. ყაზბეგი, წარმომადგენელნი ყველა სახ. ოგ. და დაწესებულებათა და კულტურულ კავშირთა და მრავალნი პატივის მცემელნი.

**საგანგებო კომიტეტი.**

განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად და დასაკრძალად შეიდგა საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან „წარმომადგენელნი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა ს. ყაზახაშვილი (თავმჯდომარე) მიწადმოქმედების სამინისტროსი თ. მეგრელიშვილი (ხაზინადარი). მეღვინე მევენახეთა ყრილობათა საბჭოსი გ. წინამძღვრიშვილი (მდივანი) განათლების სამინისტროსი ალ. მიქაბერიძე, ცენტრო ბანკისა პ. გოთუა, წერა-კითხვის გამავ. საზოგ. ვ. ბურჯანაძე და ბ. მამულოვი.

კომიტეტის პირველი სხდომა უკვე მოხდა, რომელზედაც გადაწყდა განსვენებული დასაფლავდეს თანახმად დატოვებულ ანდერძისა ს. წინამძღვრიანთ კარში, სადაც წაასვენებენ ორშაბათს დილის 9 საათზედ.

კომიტეტმა პირველსავე კრებაზე შექმნა ფონდი განსვენებულის ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომლითაც აღიზრდებიან სტიპენდიატები სამეურნეო ცოდნის მისაღებად; კომიტეტმა ამ ფონდის გასაძლიერებლად უკვე მიიღო ცენტრო ბანკის გამგეობისაგან 50 ათასი მან.

**მთავრობის დახმარება.**

მთავრობის დადგენილებით მთელი ხარჯები, რაც კი დაკრძალვას დასჭირდება, მიღებულია მთავრობის ხარჯზე.

**ანდერძი.**

თანახმად განსვენებულის ანდერძისა მთელი ქონება უძრავ მოძრავი რჩება წინამძღვარიანთ სკოლას, ხოლო თვითონ დაიკრძალება ამ სკოლის ეზოში. —

# ერ. დემ. პარ. მთავარ კომიტეტის ცნობები.

მთავ. კომიტეტის მდ ვნის ნახვა შეიძლება ყოველდღე დილის 9—11 მდე და საღამოს 7—9 საათამდე.

—

პროვინციიდან ჩამოსულ პარტიულ ვარ კომიტეტის კანცელარიაში.

—

**სოფ. მასწავლებელთა საყურ დღებოდ:**

პროვინციებში და სოფლებში მუდმივად მყოფ ჩვენი პარტიის წევრთ და თანამოაზრე სოფლის მასწავლებლებს ვსთხოვთ ვვაცნობონ თავიანთი ვინაობა და მისამართი, აცნობონ აგრედვე სამაზრო კომიტეტებს.

—

**სამაზრო და სარაიონო კომიტეტებისადმი:**

ზოგიერთ პროვინციის ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებს, ჯერაც არ უპასუხნიათ ჩვენ მიერ 29 ივლისის თარიღით 1451 № დაგზავნილ ცირკულიარზედ.

ვაფრთხილებთ განსაკუთრებით სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციებს დაუყონებლივ გვიპასუხონ ხსენებულ ცირკულიარზედ.

**ერ· დემ. პ.რ. მთავარ. კომიტეტი.**

# ახალი ამბავი

## სამინისტროებში.

**ევ. გეგეჭკორი იტალიის პრეზიდენტთან.**

თბილისი სექტ. 4 იტალიიდან საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულია ცნობები, რომ 30 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პ. გეგეჭკორი მიიღო იტალიის პრეზიდენტმა ჯიოლიტიმ და მინისტრმა სფორცამ. მიღება იყო გულითადი. ჯიოლიტის და მინისტრ სფორცას მიერ გამოთქმული იყო ღრმა სიმპატია საქართველოსადმი და გეგეჭკორის მიერ აღძრულ საქართველოს საკითხების შესახებ მხარის დაჭერა. იტალიის გაზეთები ბეჭდავენ ინტერვიუს გეგეჭკორთან.

**ოპერაციები ონის საბაჟოში.** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსმა ვ. მიქაძემ წინადადება მისცა ახლად გახსნილ ონის საბაჟოს დაიწყოს სავაჭრო ოპერაციები საქონლის გაცვლა - გამოცვლის საფუძველზე. თანაც უთხრა, მას რომ მთავარი ყურადღება მიაქციონ შემოტანილ სიმინდის, ფქვილის და შინაურ საქონლის ასაღებსა, მანუფაქტურასა და შაქარზე გადაცვლას. საქონლის გაცვლა—გამოცვლა უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებთან იქნება.

**მამულების მიმღები კომისია.** მიწად მოქმედების სამინისტროს მიერ გაგზავნილ მამულების მიმღები კომისია იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ვინაიდან თრიალეთში მხოლოდ მეურნეობას, მესაქონლეობას და პურის თესვას მისდევენ ამიტომ ერზოსა და ყველის მექარხნეებისათვის ნორმად დატოვონ 40 დესეტინა მამული. ამასთანავე კომისიამ სასურველად მიიჩნია ზემოდ დასახელებულ რაიონში ხანიეთში სარძევე ფერმების და არსება და მესაქონლეობის მოწყობა. გადაწყდა: ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად დაარსდეს სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია.

**ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილება.** ევროპის ბაზარზე ქვანახშირის ნაკლულოვანების გამო მოთხოვნილება ტყიბულის ქვანახშირზე ამ ჟამად საგრძნობლად გაიზარდა. ამის გამო ტყიბულის ქვანახშირის ფასმა საგრძნობლად აიწია. მომარაგების სამინისტროს მეურნეობა—მრეწველობის განყოფილება იუწყება, რომ მან საზღვარ გარედ გასატანათ გაჰყიდა 200.000 ფუთი ტყიბულის ფხვნილი ქვანახშირი ეს ნახშირი მაგალითებით მეტ ფასებში გაჰყიდა, ვიდრე ამას წინად კარგი ხარისხის ქვანახშირი ფასობდა.

## მთავრობაში.

**— საქართველოს წითელი ჯვარი.** მთავრობის დადგენილებით შეიცვალა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წესდება. თანახმად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წინადადებისა, წესდებაში შეტანილი იქნა შემდეგი სამი ახალი მუხლი: 1) საქართველოს წითელი ჯვარი ხელმძღვანელობს 1863 და 1896 წლებში ჟენევაში მომხდარ კონფერენციის პრინციპებით და აგრეთვე 1897 წლის საზღვაო ბრძოლის კანონებით 2) საქართველოს წითელს ჯვარს საქართველოს მთავრობა აღიარებს სამხედრო-სანიტარულ ნაწილის დამხმარე დაწესებულებათ 3) საქართველოს წითელი ჯვარი თავის მოქმედების დროს ხელმძღვანელობს იმ საერთაშორისო სოლიდარობით, რომელიც სხვა და სხვა სახელმწიფოების წითელი ჯვრის საზოგადოებებს ერთ საერთაშორისო კომიტეტში აერთიანებს. წესდების მეათე პარაგრაფი შემდეგ ნაირად გადაკეთდა: საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოებას თავის შემადგენლობაში შეუძლია მიიღოს საპატიო წევრები და ქველმოქმედები.

**— სახალხო გვარდიის კონფერენციის დადგენილებანი.** მთავრობამ მოისმინა სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა მეორე კონფერენციის დადგენილებანი სახაზინო ქონების მითვისებისა და მექრთამეობისათვის სასჯელის გაძლიერებისა და ერთ დაწესებულებაში დათხოვნილ მოსამსახურის მეორე დაწესებულებაში მიუღებლობის შესახებ, დადგენილ იქმნა ეს გადაწყვეტილებანი პრინციპიალურად მიიღოს, ხოლო იუსტიციის მინისტრს დაევალოს შეიმუშაოს კანონპროექტი სახაზინო ქონების მითვისებისა და მექრთამეობისათვის სასჯელის გაძლიერების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს კი დაევალა შეიმუშაოს წესები, ერთ დაწესებულებიდან დათხოვნილი მოსამსახურის მეორე სახელმწიფო დაწესებულებაში მიუღებლობის შესახებ.

**— თანამდებობიდან განთავისუფლება.** მთავრობამ დაადგინა სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის პროკურორის ამხანაგი ვეზირიშვილი თანახმად მისი თხოვნისა გაანთავისუფლოს თანამდებობისაგან.

**— შტატების გადასინჯვა.** მთავრობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: სრულიად სასწრაფოდ და რიგს გარეშე გატარდეს სახელმწიფო დაწესებულებათა შტატის გადასინჯვა და მისი მინიმუმამდე შემცირება.

## გვარდიაში.

**სახალხო გვარდიელთა დღესასწაული ბათომში.** ბათომის დემოკრატიამ გადასწყვიტა 26 სექტემბერს დიდის ამბით იდღესასწაულოს სახალხო გვარდიის დაარსების წლის თავი. განზრახულია ბათომში გაიმართოს ჯარისა და გვარდიის აღლუმი და სახალხო სეირნობა რომლის შემოსავალიც მოხმარდება გვარდიაში კულტურულ განმანათლებელ საქმეს. აგრეთვე ამ შემოსავლიდან აღმოუჩენენ დახმარებას ომში დახოცილ გვარდიელთა ოჯახებს. ბათომის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბთან დღესასწაულის მოსაწყობად დაარსდა სპეციალური კომიტეტი. კომიტეტთან დაარსდა ორი სექცია ფინანსიურ სამეურნეო და მუსიკალურ — მხატვრული.

## მილიციაში.

**— დათხოვნა მილიციელებისა.** მილიციის აგენტები რომლებმაც ამ დღეებში შეურაცხყოფა მიაყენეს თავისი უტაქტო საქციელით სომხეთის დელეგაციის წევრს, შინ. საქ. მინისტრის მოადგილის განკარგულებით დათხოვნილი არიან სამსახურიდან. ამასთანავე გაცემულია სასტიკი ბრძანება, მილიციის მოხელენი და აგენტები განსაკუთრებული პატივისცემით და ზრდილობით ეპყრობოდნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ.

## ვაჭრობა-მრეწველობა.

**— მარგანეცის ექსპორტი** ფოთი 3 სექტემბერი. სექტემბრის 2 შრომის მინისტრის ამხანაგის ა. ჩხეტიძის თავმჯდომარეობით „ჩ-მოს" წარმომადგენელებისა და მარგანეცის მჭვირთავ მუშების თათბირი. ... თათბირის მიზანი იყო მუშების ჯამაგირების 50 პროც. ით გადიდების საკითხის განხილვა. საკითხის განხილვის შემდეგ თათბირმა შემდეგი დადგენილება მიიღო: 1) ფოთის მარგანეცის მჭვირთავ მუშების ჯამაგირები ძლიერ მცირეა. 2) ჯამაგირები უნდა გადიდდეს ისე რომ მარგანეცს ყოველი ფუთის ვაგონიდან პლატფორმაზე და პლატფორმიდან ვაგონში და გემზე გადატვირთვა-გადმოტვირთვისათვის მუშას მიეცეს 2 მ. დასასრულ თავმჯდომარემ სურვილი გამოსთქვა, რათა მხარეებს შორის ყველა საკითხის გარშემო სრული შეთანხმება მოხდეს, რაც საჭირო შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად.

## ფოსტა და ტელეგრაფი.

**— ტელეფონის სკოლა.** ფოსტა და ტელეგრაფის სამმართველო იღებს თხოვნებს იმ პირებისაგან, რომლებსაც ფოსტა და ტელეგრაფის და ტელეფონის სკოლაში სურთ შესვლა. სკოლაში მიღებიან საქართველოს ქვეშევრდომნი ორივე სქესისა 13—25 წლამდე- არა ნაკლებ საშუალო სასწავლებლის 4 კლასის განათლებით, ან და უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში კურს დასრულებული. მეცადინეობა ერთს წელიწადს გაგრძელდება. მოწაფეები ყოველთვიურად 1000 მანეთს დახმარებას მიიღებენ თხოვნების მიღება სექტემბრის 16 მდე გაგრძელდება.

## რკინის გზაზე.

**— მოწაფეთა სამგზავრო ბილეთები.** 15 ენკენისთვიდან გზათა მიმოსვლის დირექტორ ა. ქიქინაძის განკარგულებით შემოღებულ იქნება საქართველოს რკინის გზებზე დაბალ და საშუალო სკოლების მოწაფეთათვის ერთ თვიური და სამთვიური ბილეთები, რომლის მიღება სწარმოებს შემდეგის წესით: იმ სადგურის უფროსის სახელზე, რომელიდანაც მოწაფე მიემგზავრება, უნდა წარდგენილ იქმნას თხოვნა, შემოწმებული სკოლის უფროსის მიერ და ფოტოგრაფიული სურათი. ეს თხოვნა ამ სურათებით იგზავნება შემოსავალთა ნაწილის უფროსის სახელზე, რომლის განკარგულებით ამზადებს მოწაფეთა ბილეთების ფასი ამ ბილეთების შემდეგია: 1—13 ვერსის მანძილზე 250 მან. სამთვიურად 750 მან. 14—16 ვერსზე—10 მანეთით, 27—40 ვერსზე—15 მან., 41—53 ვერსზე 20 მან., 54 67 ვერს.—25 მან. 68—80 ვერსზე—30 მან. და ამ გვარად. ყოველ 13—14 ვერსზე ემატება 5 მანეთი. ბილეთები მხოლოდ სწავლის დროს მიცემათ ე. ი. 15 ენკენისთვიდან 15 თიბათვემდე.

## პროფ. კავშირებში.

პროფ. კავ. საბჭოს სეკრეტარიატში 2 სექტ. სხდომაზე განიხილეს ტრამვაის მოსამსახურეთა საკითხი. ტრამვაის მოსამსახურეთა კავშირმა განაცხადა, მოსამსახურეები მოითხოვონ: 1) მოსამსახურეთა შორის ჯამაგირების მხრივ განსხვავება კატეგორიების მიხედვით უნდა არსებობდეს. 2) უნდა დაარსდეს თავისუფალი დღე. 3) კვირ ობით ორჯერ მეტი ხელფასი უნდა მიიღონ. 4) 8 საათზე მეტი დროს მუშაობა სამჯერ მეტად უნდა ფასდებოდეს. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: 1) უარყონ მოთხოვნილება განსხვავების შესახებ. 2) განიხილონ საკითხი მუშათა კატეგორიის შესახებ. კვირაში თავისუფალი დღის შესახებ უთანხმოების გამო, გადაწყდა ეს საკითხი გადაეცეს საგანგებო კომისიას, რომელსაც დაევალა დანარჩენ მოთხოვნილებასთან ერთა თავისი დასკვნა გამოტანოს.

# გაზ. „საქართველოს" კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს 30 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

# ბათომი.

**ქალაქის თავის არჩევნები.**

აგვისტოს 3 ბათომის ქალაქის თავად აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრი გ. ანჯაფარიძე, მის ამხანაგად მეჯლისის პრეზიდიუმის წევრი ზია-ბეგ აბაშიძე. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის გამგეობის წევრის ერთი ადგილი სომეხ ხმოსანთა ფრაქციას დაუთმოს.

# ფოთი.

**სომეხ ლტოლვილთა მოსვლა.**

(საქ. საკ. კორ.) ნოვოროსიისკიდან ფოთის ნავთსადგურში მოვიდა გემი „ეკატერინე" რომელმაც ყუბანიდან ჩამოიყვანა სომეხ ლტოლვილთა პირველი პარტია. ინგლისის ნაღმოსანი სტამბოლიდან მოსულ ბრძანების თანახმად ნოვოროსიისკს გაემგზავრა საქმეთა ვითარების გამოსარკვევად.

# სომხეთში.

**გაზ. „არაჩის", აზრი.**

არაჩი „წერილში „ლონდონ მოსკოვი ნახჩევანი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა ჯარების შემოტევამ ყარაბახის, ზანგეზურისა და ნახჩევანის წინააღმდეგ დააინტერესა ევროპა, განსაკუთრებით კი ინგლისი, ვინაიდან ამ გზით სურთ ბოლშევიკებს კავშირის დაჭერა სპარსეთთან, ოსმალეთთან და შემდეგ არაბისტანთან, ეგვიპტესთან და ინდოეთთანო. ასეთ პირობებში ლონდონი უნდა დაფიქრდეს თავის ახალშენების ბედზე. შეიქმნა რეალური მუქარა, და საჭიროა მის წინააღმდეგ სერიოზულ ზომების მიღება. შეიძლება ლონდონი ახლა უკვე გრძნობს თავის შეცდომას. იგი სომხებს, რომ დახმარებოდა უფრო მეტს მოიგებდა. ლონდონი ამ ჟამად მძიმე ამოცანის წინაშე სდგას. ან უნდა დაიხსნას აღმოსავლეთი ბოლშევიკების შემოსევისაგან და თავისი პატრონობა დიპლომატიური გზით უნდა განამტკიცოს, ან და იარაღით ხელში უნდა დაამსხვრიოს წითლები. მოსკოვმა იცის, რომ მისი ერთი და სასტიკი მტერია ინგლისი ამიტომ მოსკოვს სურს აღმოსავლეთის პოლიტიკით იმოქმედოს ინგლისზე. მოსკოვმა კარგათ იცის თავისი მდგომარეობის სირთულე და იცო-

# ლიტერატურა და ხელოვნება

## ოფორტი

ლალი მზე ლამაზი ლალებს ასხურებს.
აღმურის სამოსი ყვითურათ შეთვალა.
გველთავა ტალღა ტიტველ ფეხს აშურებს.
ზღვის პირას ნებივრობს სილაზე მზეთვალა.
ქშშ.. ფშვინავს წაშალი ჭავლების ხალისი.
შაირობს ფირუზის ატლასი ხალასი.

ზღვის პირის მოსუნთქვა ლველფებს აწელებს.
ძოთენია ნამზევი გრილდება ყოველის.
მზეთვალა გამზერის ზვირთების მწვანილებს.
ფიცხელი ლოდინით მზეჭაბუკს მოელის.
ქშშ.. შრიალ ქშინავენ ტალღების პეშვები.
თეთრქაფა მარმაში ქვიშაზე ეშვება.

ინთება ზმანება ნაკვერჩხალ თეთრული.
სარკეულ ლანდმა უეცრათ იელვა.
ვალლობილ ოცნებას მზეთვალა შერთული—
ქინმორეული სურვილით ილევა.
ქშშ.. იფშვნება ქაფი კენჭების ქარვებში.
შორს შორს ინთქება ზვირთების თარეში.

**გრიგოლ რობაქიძე**

2 თებერვალის 1918

# ბიბლიოგრაფია

„Стихи о Россіи"; თბილისი, 1920 წ.

რუსეთმა არ იცის დასავლეთური სილლოგიზმი. რუსეთში იბდებიან მაგრამ ვერ მწიფდებიან.

ასე იტყოდა უცნაურს რუსეთზე უცნაური პეტრე ჩაადაევი.

რუსეთი მთვრალია რაღაც სასმელით. დოსტოევსკის გმირები ყველანი მთვრალნი არიან.

არის რუსეთში რაღაც სიგიჟე,—არა ისეთი, რომელსაც ყვითელი სახლისა კენ მიჰყავს. ეს სიგიჟე უფრო ისეთია, რომელიც პირველად ჰელლენება შეამჩნიეს.

დასავლეთის სილლოგიზმს სწორედ ქაოსის ეშინია: იქ თუ შენებაა,—აქ ნგრევაა.

არც უბრალოა ეს ნგრევა. აქ არის მსხვერპლი, ფართო მასსასათვის ჯერ კიდევ გამოუცნობი.

ზედაპირზე: რუსეთი დათვია ველური თაფლით დამთვრალი და აჯაჯილებულ ყანაში გადავარდნილი.

მაგრამ შიგნით: რუსეთი ავად არის უცნაური შთაბეჭდილებით.

იქ არის დათრობა, იქ არის ყივილი, იქ არის სისხლი, იქ არის სიკვდილი,—

მაგრამ თანვე: იქ არის წამება, წამდვილი ჯვარცმა.

რუსეთის პოეტები უცნაური სიყვარულით ითვისებენ სამშობლოს. ისინი სწყევლიან მას,—მაგრამ რაოდენი სიყვარულია ამ წყევაში?!

—

კრებულში მოქცეულია ცხრა ავტორი.

ალექსანდრე ბლოკი აქაც თავისებურ არის ამღერებული. ვერ ვიტყვი, რომ მისი ლექსები რუსეთზე ისეთივე ჩამოკვეთილები იყვენ, როგორც მისივე ლექსები იტალეთზე.

ვერც გამოჰკვეთდა ალბად: რადგან აქ სიყვარული უფრო მეტია ვიდრე ოსტატობა. რუსეთი საცოლო მისტიური ბლოკის ლირიკაში პირდაპირ კონკრეტულ სიმახვილეს იღებს.

უშუალოდ და შეყვარებულად უმღერის იგი საცოლოს:

Ты и во снѣ необычайна.
Твоей од жды не коснусь.

ლირიულ ამღერებაში აქვს აქა-იქ მას „ეტნოგრაფია" ოდენი. მაგრამ თითქმის ყოველი ასეთი ხაზი მისტიურს განათებას იღებს:

რუსეთი—
Съ болотами и туманами
И съ мутнымъ взоромъ колдуна.

შვილური სიყვარულია აქ ატირებული:

Россія, нищая Россія,
Мнѣ избы сѣрыя твои,
Твои мнѣ пѣсни вѣтровыя,—
Какъ слезы первыя любви!

სიტყვები უბრალოა,—მაგრამ არ გეშინია ბანალობის.

ან და:

Какому хочешь чародѣю
Отдай разбойную красу.

ან კიდევ:

რა ადვილია გზა—
Когда блеснетъ въ дали дорожной
Мгновенный взоръ изъ-подъ платка.

სიყვარული უკანასკნელი. თქმა უბრალო.

მაგრამ ძალოვანი: უბრალო და ძალოვანი როგორც მიწა.

—

ანდრეი ბელის ლექსი კრებულში მოქცეული ვერ არის მისთვის მახასიათებელი: რუსეთზე მას უკეთესი ლექსები აქვს.

ლექსის უკანასკნელ ხანაში მაინც ისმის ბელის დაფერფლილი კივილი:

„ქვეყანავ საადისწეროვ, ყინვეულო,
წყეულო ხელით რკინეულით...
დედავ რუსეთო, ჰოი, ავო დედავ,
ვინ იხუმრა ასე შენზე?"

—

მესამედ: კრებულში მიდის მაქსიმილიან ვოლოშინი.

მას უყვარს ლათინური რასსა და გოტიური სტილი. ამ მხრით იგი ძლიერ განირჩევა რუსეთის პოეტებისაგან.

მაგრამ რუსეთზე ფიქრებში მას ლათინთა ტემპერამენტიც ავიწყდება და გოტიური ტაძრებიც.

აქ იგი რუსია ნამდვილი: ველური მაგრამ იდუმალი მზერით.

მისი ლექსი „წმინდა რუსეთი" ნამდვილი შედევრია. იგი რჩეულებსაც მოხვდება გულს და მასსის ინსტინქტებსაც. შეუძლებელია რომელიმე ადგილის მისგან ამოღება: იგი მოთქმაა ლირიული და გატეხას ვერ ითმენს.

—

ზინაიდა გიპპიუსი ქალთა შორის მნიშვნელოვანი პოეტია. მას აქვს ვაჟური გონება და განსაკუთრებით კაცური ირონია.

მისი ლექსი „სიმხიარულე" წყევაა ახელებული.

ოქტომბერის ამბებს იგი ომის ნარწყევით ნათლავს: აყროლებული ღვინოთია მთვრალი რუსეთი პოეტისათვის.

რომელ ემმას, ან რომელი ძაღლისათვის, მოჰკალი შენ თავისუფლებაო,— მიმართავს იგი რუსეთს.

და უმატებს:

არა: მოჰკალი კი არა, მათრახით გაშოლტე იგიო.

შემდეგ:

იცინიან ეშმანი და ძაღლები მონათა ხროვაზე, იცინიან ზარბაზნები პირღიანი,—და პოეტი ატეხილ მენადასავით მიმართავს რუსეთს წინასწარმეტყველური შეძახილით:

И скоро въ старый хлѣвъ
Ты будешь загнанъ палкой.

ლექსი არის ნამდვილი გახელება და ცოფი.

—

სერგეი გოროდეცკის კრებულში სამი ლექსია. მათში ყველაზე უკეთესი ეურთოდ „კონცესსიებია". ამ ლექსში სჩანს პირვანდელი გოროდეცკი: ალვირ--ახსნილი ველური სკვითური სიუხვით ზომაგადაცილებულით.

От вымени московскаго
Весь міръ напился пламенемъ,—

ეს ავხორცი სახე გამართლებაა ლექსის.

—

ვიაჩესლავ ივანოვის „სატანა" დაწერილია 1905 წელს. გამომცემელთა აზრით ის კი სხვა ლექსებთან მოქცეულია 1914—1920 წელთა რკალში.

ეს ლექსი მართლაც წინასწარმეტყველურია.

Сатана свои крылья раскрылъ.
Сатана.
Надъ тобой, о, родная страна.
И смѣется носясь надъ тобой сатана
Что была ты „Христовой" звана.

რამდენი ფოთლები—იმდენი ჯვარები: ვინ დაითვლის ჯვარცმულებს?!

ლექსში არის ვაება.

—

რიურიკ ივნევის ორს ლექსში არც ერთი არ ვარგა. არა უშავს მეორე ლექსის ლირიულ ფრაზას:

И может быть никто не счастливъ
болѣ..

—

დიმიტრი მერეჟკოვსკის ლექსი ცივია როგორც გაძვალებული სხეული მოხუცი განდეგილის. სურნელებაც წმინდა ნაწილების აქვს.

Мы дѣти матерью проклятые—
И проклинающіе мать.

იგიც დასტირის რუსეთს.

—

სერგეი რაფალოვიჩი თბილისის სტუმარია. აქვს ეთუოდ პოეტური კულტურა. მხოლოდ რუსეთს იგი სხვებსავით ვერა გრძნობს.

მომწონს მისი თქმა ერთს ლექსში:

Природа, какъ родившая жена,
Влюбленную забыла напряженность.

ლექსი „რუსეთის მტრებს" უფრო პატრიოტული კივილია.

**გრიგოლ რობაქიძე.**

ნომიური სიღატაკე, ამიტომ თავის გადასარჩენად ის არაფრის წინაშე არ შეჩერდება. ზანგეზურ-ნახიჩევანის ხაზის დაკავებით რუსეთ-ინგლისის ბრძოლა ახალ ფაზაში შედის. შესაძლებელია სამხედრო მოქმედებათა აღმოსავლეთში გადატანა და აგრეთვე ფინლიანდიისა და რუმინეთის გამოლაშქრება რუსეთის წინააღმდეგ, ამ გზაზე იმყოფება სომხეთი და სომხეთის ხალხი კიდევ უნდა დაიტანჯოს. კვლავ ისმება საკითხი სომხეთის ხალხის ფიზიკურად გადარჩენის შესახებ. საშიშროება, რომელიც ლიონიდან-მოსკოვის და ნახიჩევანის ხაზით გვიახლოვდება, დიდია. სომხეთმა, უნდა გამოიჩინოს მტკიცე ნება, გამოიყვანოს ძლიერი ჯარი თავის და მოუკიდებლობის დასაცავად.

ძიებათა მიღების შესახებ და დაადგინა: საკანონმდებლო წესით უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსებამდის დაარსონ განსაკუთრებული თათბირი ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით და მომარაგებისა და მიწათ მოქმედების მინისტრებისა, სახელმწიფო კონტროლიორისა და სახელმწიფო ბანკის მმართველის მონაწილეობით. ამ თათბირს უფლება ექნება სავალდებულო დადგენილება გამოსცეს შემდეგ საკითხების შესახებ: ა) რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციების შესახებ ბ) საჭიროებას დროს ამ ოპერაციების შეზღუდვისა და იმ დაწესებულებათა დახურვის შესახებ, რომელიც მუშაობს სავალიუტო ოპერაციებზე. გ) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგობის შესახებ 2. ყველა ფული, გარდა ამიერ კავკასიის და საქართველოს ბონისა, გამოცხადდეს უცხო ვალუტათ. 3. სახელმწიფო ბანკთან დაარსდეს სავალიუტო ფონდი, რომელსაც გადაეცეს მთავრობისა და მისი ორგანოების მიერ წარმოებული სავაჭრო ოპერაციებისა და ხელშეკრულებებიდან შემოსული უცხო ვალიუტის 24 პროც. 4. ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელება მიენდოს სახელმწიფოს ბანკს. 5. განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებათა დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით და დამნაშავეთ, თუ აღმოაჩნდა უცხოეთის ვალიუტა, ჩამოერთმევა და გადაეცემა სავალიუტო ფონდს. 6. მიეცეს სახელმწიფო ბანკს სესხის სახით სამრეწველო თანხიდან 1 მილიონი მანეთი ზემომოყვანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად საორგანიზაციო სამუშაოო და სხვა ხარჯების დ საფარავად, იმ პირობით, რომ ფინანსთა სამინისტრომ მაშინვე, როგორც კი გაიხსნება დამფუძნებელი კრების სხდომები, გამოითხოვოს საჭირო კრედიტი. 7. ყველა დაწესებულებამ მიიღოს ზომები ხაზინის ინტერესების დასაცავად. 8. როგორც კი გაიხსნება დამფუძნებელი კრება, შეიტანონ იქ პროექტი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსების შესახებ. სახელმწიფო ბანკის მოხსენებაში აღნიშნული საკითხები შემუშავებულ იქმნას უფრო დეტალურად და შემდეგ განსახილველად წარედგინოს მთავრობას მახლობელ სხდომაზე.

## სამხედრო ტექნიკური განათლება.

საინჟინერო ტექნიკური ჯარების უფროსმა გენ. თაყაიშვილმა სამხედრო მინისტრს წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც იგი აღნიშნავს უმაღლეს სამხედრო ტექნიკურ განათლების საქმის განვითარების საჭიროებას. რათა ამ გზით შეიქმნეს კადრი მომზადებულ სპეციალისტებისა საავტომობილო და საჰაერო საქმეში და აგრეთვე გაიზარდოს რიცხვი სამხედრო ინჟინერებისა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საკითხი უმაღლეს ტექნიკურ საქმის განვითარების შესახებ შეიძლება გადასწყდეს: ან საზღვარგარეთ საუკეთესო ოფიცრების გაგზავნით ან და თბილისის პოლიტეხნიკუმთან სამხედრო ტექნიკათათვის 2—3 წლის ვადიან საგანგებო განყოფილების გახსნით. გენ. თაყაიშვილი აღნიშნავს ევროპაში მფრინავების გაგზავნის საჭიროებას. დასასრულ მოხსენებაში აღნიშნულია საშუალო სამხედრო ტექნიკურ განვითარების საქმის მტკიცე ნიადაგზე დადგომა.

## ქართული საეკლესიო გალობის შერყვნა.

დღიდგან საქართველოს განთავისუფლებისა, არა ერთხელ მომითმენია ქართული გალობა: ქაშვეთში, სამხედრო ტაძარში და ამ თვის 27. 28 და 29 კასიონში და ინჩინსტიტუტში. სადღაც არის ის ძველი ტკბილი, სულისა და გულის აღმაფრთოვანებელ ღაღადისი? აზემნილ გალობა როგორც მე მოვისმინე, სრული უვიცობაა გალობის, საეკლესიო წესისა (ტიბიკონი) მგალობელთა და მკითხველთა მიერ, რომელიც არ თქმულა და არც გაგონილა არაბების და სელჯუკების დროსაც, ასეთი ყვირილი, რაიც ხშირად ღრიალზე გადადის, ქართულ გალობამ არ აუწყუდა, საქართველოს ეკლესია, არ იწყნარებდა ყვიოილსა თვით მთავარი დიაკონსაც არ შეეძლო ზედმეტის მაღალი ხმით ეთქვა რაიმე, არათუ ეგალობა, და აი ეხლა ამ განთავისუფლების ხანაში, მესმით უცხო ხმა რათ რისთვის?

ბრძოლა წინათაც გვიხდებოდა ამ ნიადაგზე, მაგრამ რუსების დროს უფრო კარგ პირობებში ვიყავით: ისინი როდესაც გვეუბნებოდნენ, რუსულ გალობას ქართული ტექსტი შოუხერეთო, ჩვენ ბრძოლას ვუცხადებდით, დღეს, ეს საშუალებაც მოსპობილი გვაქვს, განახლებულს საქართველოს ეკლესიას დაჰპატრონებიან გ. ფოცხვერაშვილი, დ. ნოვსი და მათი კომპ. და „ტროდესპოტისპოლებს ბრტნიანსას“ ისევ ასრულებენ ქართულად, როგორც ქეპიკოვ და აპოლონ ცანციევი 1867 - 70 წწ. ევსევს დროს წირვაზედ. განახლებულმა ეკლესიამ განახლებულ—აღდგენილ სიავლესიო იერარქიით განა მხოლოდ ძველი კულტურის წაშლას უნდა მოანდომოს მთელი თავის განახლებული ძალ ღონე?! ნეტავ ესმოდეთ მაინც რას გალობენ, ვაი სირცხვილო- საქმე ისაა, რომ არცა ცდილობენ შეისწავლონ ჩვენი გალობა. ახლა როგორ ურევენ ერთმანეთში საგალობებსა: რაც პირველ ხმაზე უნდა ითქვას, ან მეორეზე გალობენ მეოთხე და მერვეზე გ. ფოცხვერაშვილი მეორეს ხმის ოხითას გალობს მერვე ხმაზე სამწუხროდ გადბირზე და მეორის ხმის „ღმერთო უფალი გალობს მეოთხე ხმაზე. გ. დანოვსკი მეოთხე ხმის ოხითას გალობს მეექვსე ხმაზე. სიონში „ვნატრის კილოს გალობენ მერვე ხმაზედ ქათალიკოზის დირს-მსახურების დროს; გ. ფოცხვერაშვილი ქათალიკოზის შემოსვლაზე აგალობებს „შენ ხარ ვენახი“, და სხვ. და სხვა. ჩვენს ეკლესიას ძველდგანვე ჰქონია წესით მის (ქთალ. ეპისკოპ.) შე „იხარებს სული შენი“!.. ვერავინ იტყვის, რომ ეს კილო მოხდენილ და საამო ქართული არ იყოს: მაშ რა დაგვემართა რომ „შენ ხარ ვენახს“ ვერ წაუვედით? ეს ტიბიკონის წინააღმდეგია! მეცხრე სძლის პირებზე ნულარას ვიტყვით. დიდი კვერექსი „უფალო შეგვიწყალე“-ის კილოს დაცვით იგალობეს ოთხ ხმაზე განა რა უშავს, თუ მაინც და მაინც აღარ დაუშლიათ, რომ ასეთივე გადააკეთონ სხვა საგალობლებიც კილოს დაცვით? ზ. არაყიშვილმაც სცადა სრულიად ახალი ლიტურღია შემოეღო და შესთხზა კიდეც, მაგრამ რა იქნა? ის დიდებული თხზულება დიდებული კომპოზიტორისა ყველას ეხსომება, რომ ორჯელ-სამჯერ თეატრში დი ერთხელ სიონში განმეორების შემდეგ, ამ ლიტურღიამ ჩვენს ეკლესიაში ნაადაგი ვერ მოიპოვა. ეს ერთხელ კიდევ ჰმოწმობს, რომ ქართული გალობა ქართულს ნიადაგზე უნდა განვითარდეს...

მე ჩემის მხრივ, ძმებით და ძმისწულებით, რომელნიც (ძმები) შეგნებით ვაწარმოებთ ამ საქმეს 1867-ნი. პროტესტს ვაცხადებთ და ამ გვარ მათ საქციელს ვუწოდებ ბარბაროსობას, ჯალათობას, მოღალატეობას და გამცემლობას! ჩვენ ჩვენი კილოები გვაქვს და ნუ გვერყვნიან! სლავური გალობა სულ სხვა და ქართულს ვერ დაეთანათესავება ვერასოდეს. ამასთანავე ჩემ მიერ დაბეჭდილ და გამომზევებული კილოების შერყვნისათვის დამნაშავეთ პასუხის გებაში მივსცემ და მოვთხოვ ამ უფლების შეწყნარებას ყველასაგან.

ვსთხოვ ყველა ქართულ რუსულ რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში.

დეკანოზი ვ ხილ კარბელაშვილი.

## მფრინავი

„მფრინავს მარხავენ!!.

„მფრინავი დაიღუპა!!.

ხშირად ოა მგლოვიარე გაისმის ეს მრამდენჯერმე ქართველ ხალხში საბედისწერო სიტყვები.

გული სისხლით ივსება და თვალები გულწრფელ მწუხარებით, როდესაც ოცდა ხუთი წლის ახალგაზრდას კუბოში და ყვავილებით შემკულს უმზერ..

ამოოხვრის მეტი ვერა გიწამებია რა, როდესაც მკრთალ სახეზე ჩხლურჯებულ ზოლსა ხედავ და ჰგრძნობ რომ ლურჯ ტანისამოსს ქვეშ მოტვრეული მკლავი და ფეხია...

აღარ გინდა დაინახო, თვალს არიდებ იმათაც, ვის გულზეც არწივის ფრთებია გაშლილი და ვინც ამაყად, გაბედულად, მაგრამ იქნებ დარდი მანდულადაც კი, დაღუპულ ამხანაგებს უკანასკნელ გამოსათხოვარ სიტყვათ ეუბნება: დღეს შენ და ხვალ ჩვენ!!

და გინდა განუსაზღვრელ სიყვარულით შეიყვარო ეს ხალხი, რომელიც საქმისა და სამშობლოს სიყვარულისთვის ჰგრძნობს ამას, ელის უთუოდ და მაინც თავხედურ ხითამამით პირზე ღიმილით, მიწას მოსწყდება და სიკვდილთან ერთად ლაჟვარდისაკენ მიჰქრის.

ჩვეულებრივი მოქალაქე ამ დროს მარტო საგანსა ჰხედავს, რომელიც ცის სივრცეში დაჰქრის, დასცურავს. მას არ თობს ეს საკვირველება, მოსწონს.

ესთეტი სილამაზეს ჰხედავს...

სპორტსმენი უმაღლეს ვარჯიშს...

და ასე, ყველა პროფესიის თავის საგანს...

თვითონ მფრინავს კი რამდენი ენერგია ეხარჯება რა ნების ყოფის გამოჩენაა საჭირო და უდიდესი შესისხლხორცება უსულო საგანთან, ამის შესახებ არავინ ჰფიქრობს არავინ იტყვის რამეს...

მთელი კვირაობით საერთო ცხოვრებას მოწყვეტილი. ჩაჰკირკიტებს თავის მატორს და სცდილობს უფრო შეიყვაროს, რომ მეტი ენერგია შეახარჯოს, უფრო მეტად შეისწავლოს ნერვები...

და არ არის საქართველოში პროფესია რომელიც ამაზე მეტს ფიზიკურ და გონებრივ ენერგიას მოითხოვდეს...

და არც ხალხი, ამათზე პატივსაცემი, რომელნიც სამშობლოს დიდებისათვის, უბრალო მიწად მაღალნი ამაყ მფრინავად გადაქცეულან.

და ქართველ ხალხმაც უთუოდ ღირსეულად უნდა დააფასოს იგინი

უთუოდ ყველაზე ძვირფასად უნდა გაუფრთხილდეს და შეიყვაროს...

და აიძულოს თავის ნების გამომხატველი, მთავრობა, რათა მათი შრომა მეტად ფასობდეს ვიდრე სხვა რომელიმე ხელობა.

არ შეიძლება ის ხალხი, რომელთა სიცოცხლე მარად ქმს გასსაცდელის წინაშე სდგას, დავაყენოთ იმათ თანაბრათ ვინც კალმით ხელში მაგიდას უზის, ან ძირს, მიწაზე, ეტლით დასეირნობს.

მფრინავს უთუოდ დიდი ენერგია ეხარჯება, ფიზიკური და გონებრივი და ვინაიდგან, იგი უმეტეს უმეტესად არის, ხშირად ვიტყვით: მწუხარედ ვამბობთ „მფრინავს ჰმარხავენ, მფრინავი დაიღუპა“...

და სხვა ზომათა შორის, თუ ჰფიქრობს ქართველი ხალხი მიიღოს რამე ზომა, ძვირფას ხალხის შესანარჩუნებლად, უეჭველად საჭიროა, რომ იგინი რზრუნველყოფილი იყვნენ. მათ უმეტეს ასეთი ხალხი ხომ ბევრი არა გვყავს! და ქართველმა გალხმაც უნდა შეიყვაროს იგი ძლიერ სიყვარულით. მეტად დაფასოს თორემ სხვა რამით ვერ დაფასდება იგი თუმცა ფილდაც გამეტებულ უნდა იქნეს და მაშინ იქნება იყოს ის იმ საზარელ და დასახს დამარხვანი, რომლის მოწამე ლდუბის კედლები ჰხდებიან.

მე როგორც ქართველ ხალხის ერთგული შვილი მსურს დავუჯერო, რომ ჩვენი მთავრობის ნაბიჯი უეჭველად აქეთკენაც იქნება გადადგმული დღეს ვიტყვი ამ ცოტა ხანში სხვებთან ერთად, მწუხარეთ და გულის ტკივილით.

„მფრინავსა ჰმარხავენ!“...

მეტად ძვირფასი ხალხია იგი ჩვენთვის და ეს სიტყვები სრულებით თუ არა, მეტად იშვიათად მაინც უნდა იხმარებოდეს.

ნ. კეცხოველი.

## პატარა ფელეტონი

ნ. აზიანი.

### თაგხევზე საუბარი.

წითელ-ლოყა პამიდორმა
გადასძახა ბადრიჯანსა:
„ამ უბედურ ქალაქელებს
ჩვენ ვაცოცხლებთ, ვაძლევთ ჯანსა!!!

* * *

— თორემ ჩვენ კი არა ვშველით?!—
დაიკვეხეს ნესვ და კიტრმა
აქ ლობიო მათ პირში სწვდა:
„იტრაბახეთ, თქვენმა ჭირმა!

* * *

თუ შველაზედ მივარდება,
ჩემისთანათ ხალხს ვინ შველის?
აღარა მთხოვს ერბო, კვერცხსა,
ცარიელსაც კარგა მელის!

* * *

მე რომ მუდამ მამცირებდა,—
სთქვა აქ კიტრმა გულ-ნაწყენით—
„კიტრის ფასათ არა ღირსო“.
ახლა კარგა მცძებს რბენით!

* * *

სატრფო- ხორცი გაუფრინდა,—
კისკისებდა პამიდორი—
ჩემს ამარა იგი დარჩა.
ჟამი დადგა დაროგორი!

* * *

ყველას წასკდა აქ სიცილი,—
— გაუმ რჯოს „ერთობა“-სო!
მან იყარა ჩვენი ჯავრი,
ფასი დაგვდო,—ჩვენს ყოფას~!

* * *

ჩვენც ჩვენ გზასა გაუდგებით—
ოხვრითა სთქვა ბადრიჯანმა—,
შემოდგომა კარს გვადგა,
დაჰკრა ჩვენმა წასვლის ჟამმა!

* * *

ამ უბედურ ქალაქელებს
რა მოუვათამ ზამთარ-სა!?
„სატარითო“ თუ უშველის,—
ჯამაგირით მისცემს მხარსა!

* * *

## ქართულ ბონების კურსების განსამტკიცებლად

მთავრობამ იმსჯელა ქართული ბონების კურსის განსამტკიცებლად ღონის

## წერილი ქართლიდან

ქართლს ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეები მხოლოდ ერთს რამეში ვერ წაედავებიან: ეს არის მისი სიდინჯე და სიჩუმე. ჭირსაც და ლხინსაც იგი დუმილით ჰხვდება და ხმას არ აიმაღლებს. აკეთებს ჩუმად, აკეთებს და თუ უსაქმოდ არის, მაშინაც არაფერს იტყვის, ხმას არ ამაიღებს. ეს თვისება იმათაც კი გადასდებიათ, რომელნი დღეს ქართლის სათავეში სდგანან და რომელნიც იქნებ სრულიადაც ქართლელები არ იყვნენ: ესეც ქართლის სენეა; მას არ შეუძლიან დაუდიდებლად შეიკრას ყველგან. ხშირად სძულს კიდეც ყვირილის ფერხულში ჩაბმა: ეგ ჩემი საქმე არ არის, საქმე გამოჩნდება ჩემი თავი სანაცვალოდ იყვეს, იტყვის და როდესაც მართლა საქმეზე მიდგება, არც იგი ჩამოდგება უკან. მაგრამ ხმას კი არ ამოიღებს. მართლაც დიდა ქალაქში მყოფი იფიქრებს რომ ქართლსა „სძინავს“, იგი არ ჩაბმულა სააღმაშენებლო მუშაობაში და მართლაც ხომ გაზეთებშიც არა იწერება რა, არც ვრცელი ოქმები წვრილ საერობო ერთეულებისა, არც თვით სამაზროსი, არც კოლექტივებისა და არც მთავრობის ოფიციოზში შეხვდება კაცი ხშირად ქართლის ხსენებას „ამა და ამ საჭიროების გადაიდო ამდენი და ამდენიო“... იქ თითქოს არც წყალი აფუჭებდეს ნაპირს და მინდვრებს, თითქოს მასავა ლიც არა ფუჭდებოდეს...

მეც დიდხანს არა ვიყავ ქართლში და ვფიქრობდი: ნუ თუ მართლა კვლავ სძინავს, არას აკეთებს, ხალხიც უყურადღებოთაა დატოვებული და პატრონი, ახლო გულ შემატკივარი არ გააჩნია; და მეშინოდა ქართლის მეორე თვისების იგი, რომ ჯერ არას ამბობს, დიდხანს იგუბებს გულში ბოლმას და ვარამს მერე უცბად მოულოდნელად გადმოაჰხეთქს და მთიდან წამოსულ ჩასჩქერივით ძნელად და შესდგება, ვერც შეაყენებ.

ამ გრძნობით მივდიოდი ქართლის მინდორ ველებ შორის და იქნებს მწუხარედ, გავცქეროდი მის ამწვანებულ მთა გორაკებს, ზოგან გადატრუსულს კიდეც. ეტყობოდა, რომ ზაფხულს ისე გაევლო, ცისნამი არ მოსულიყო, სიმინდი გადამხმარიყო და დაღვრემილი ქართლელი, წელში მოხრილი, და უდროოდ შემჭკნარ სიმინდს ჩალადა სჭრიდა. ვფიქრობ, მივიდე გამოვე ლაპარაკო, მაგრამ რა ამის ჯავრი ექნება გაბოროტებულს, როდესაც წლის ნაჭირნახულევს ჩალადა სჭრის. მაინც ველაპარაკები, სალამს ვაძლევ. იგიც წელში იშლება და შუბლ გახსნილი, მაგრამ სევდიანი მაინც: „გამარჯვება ნუ მოგიშალოს ღმერთმა“... სიტყვა სიტყვას გაჰყვა, მოსავალი ვიკითხე: „რა ვქნა, ღვთის ნებაა, გაფუჭდა მაგრამ ვის შევჩივლოთ, ბევრი გვინახავს და ვნახავთ კიდეც, გავატანთ როგორმე ამ ზამთარსაც და შემდეგში მაშინ ვილაპარაკოთ“... ვის შევჩივლოთო, ამ ჩუმ ადამიანს მართლაც რომ ესმის ვის შესჩივლოს, ვის შესტიროს, ისევ თვით უნდა მოუაროს ჭირს და თვითონ უნდა უწამლოს და ასეც არის და ასეც იქნება.

მთავრობას და საქართველოს თავისუფლებას იგი ყველაზე გვიან შეურიგდა, ეჭვის თვალით უცქერდა და გულში ყოველთვის ხინჯი ჰქონდა: ვაი თუ ჩვენ თავს ჩვენ ვერ მოუაროთ, მტერი ბევრი გვყავს და იქნებ ვერ გაუძლოდ, როდესაც ერის ორასი გვცემდესო!! ეს მისი ეჭვიანობა და უნდობლობა ყოველთვის აწყინდა ნუ თუ თავის თავის ნდობა დაჰკარგა მეთქი,— ვიტყოდი და თან სიხარულით ვუმზერდი, როდესაც საქართველოს საფრთხის წინაშე არასდროს არ შემდგარა და თავის მკერდით შეუჩერებია სამშობლოს გასაჭირში გამოწვეუწყნეული ტყვე. ვფიქრობდი, ალბად ეხლაც ისევ ის ხინჯი აქვს, ალბად ეხლაც იგივე ეჭვი, მაგრამ არა! სამიწლის ბრძოლამ და თავისუფლების დაცვამ იგი დაარწმუნა წინააღმდეგში. „მართალია, ცოტანი ვართ, მაგრამ მრავალს ბევრსა ვჯობნებივართ“... და მიუთითებენ საბჭოთა რუსეთისაკენ, რომლის ავლა დიდება თავის თვალით იხილეს აზერბაიჯანის ომის დროს და ტყვეებმა თვით აზერბაიჯანში „წამოვა, ცოლშვილსაც გავიყვანთ და ჩვენ პატარა საქართველოს არავის გადავაქელინებთ.“

ამბობს დღეს და თუ ამბობს, აასრულებს კიდეც, არაფრის წინაშე არ შესდგება და არც გადმოაქელვინებს ვ. სმე. მ ტად დიდია ეს სიყვარული და გგონიათ აქაც ხმა აიმაღლის ან და იყვიროს? არა, თუ ჰკითხავ იქნებ მაშინ გიპასუხოს თორემ ისე თავს არ შეგაწყენს. აი საერთო სული ქართლისა, მაგრამ უეჭველია აქაც იქნებიან ისეთნი, რომელნიც ხშირად წყალს ამღვრევენ და საერთო მშვიდობიანობას არღვევენ. ასეთები არიან ცხენში ნამყოფი ყაჩაღობისათვის, კაცის კვლისათვის და სხვა ბოროტ მოქმედებისათვის. იქ შეხვედრილან „ბოლშევიკებს“ და დამეგობრებიან და გადმოსულან რა ციხის კარებიდან ხალხში ტანჯულ ხალხათ მოაქვთ თავი და არის საბუთები რომ ასეთ ხალხს კავშირი აქვთ „ბოლშევიკებთან“ მაგრამ ხალხმა მათ დიდიხანია კბილი გაუშინჯა და ყურადღებას არ აქცევს ვინც რა უნდა სთქვას წისქვილმა კი ჰფქვასო. იტყვის თავის საყვარელ ანდაზას კვლავ ჩუმად განაგრძნობს თავის ჩვეულებრივ მუშაობას.

ასეთია მისი სულიერი განწყობილება აუშფოთებელი, იქნებ ძალიან ღელავდეს კიდეც, მაგრამ არავის არას აგრძნობინებს, „მარტო გაიცინებენ და შველით როდის უშველიათო“... და ეს იქნებ მართალია კიდეც, თვითონ ყველას მიეშველება მაგრამ იშვითად მას ვინმემ ხელი გაუწოდოს, განა იმ სიდინჯემ და გულმტკიცობამ, რაც გამოიჩინა ქართლმა გორის მიწის ძვრის დროს, თვით დიდი ევროპიელებიც კი არ გააკვირვა, „უკვდავია ის ერი ვინც ჭირს ასე გადაიტანსო“ სთქვა იტალიის განათლებულმა შვილმა, ამ მიწის ძვრის გამო მთავრობაც და მთელი საქართველო დიდის ამბით და ლამაზი სიტყვებით დაჰპირდა ქარლის დახმარებას და დედაგულის აღდგენას მაგრამ... ქართლელმა ისევ თავის ძალით დაიწყო თავის კერის აშენება, მოწყობა და მომართვა, თორემ, როგორც იგრძნო, ლოდინი ლოდინათ დარჩებოდა და სუსხიანი ზამთარი კარზე მოუსწრობდა. სოფელი შენდება კვლავ თავის გულით და ენერგიით მაგრამ ხელი კი კვლავ ნანგრევთა სამეფოა, ქართლს არ შესწევს უცბად ასეთი დიდი ენერგიის გამოჩენა, მაგრამ თუ აქაც საითმე დახმარება არ გაჩნდა, ალბად მასაც თავისი ძალით აღადგენს და დაამშვენს.

და სე ამგვარად ჩუმად და უხმოთ მუშაობს ქართლი ყოველ დარგში, დინჯათ მაგრამ საფუძვლიანათ.

შეიყვარა დამოუკიდებელი სამშობლო, მაგრამ შეიყვარა ძლიერად, ძვირფასად.

და ამ სიყვარულისთვის დღემდე ძირს დახრილი თავი მაღლა აწია და გააკეთა ის, რასაც მხოლოდ მაშინ დაინახავს კაცი, როცა ქართლში დატრიალდება.

ნ. კ—ლი.

# ჩვენი კორესპონდენტები

## ს. ტყვიავი.

(გორის მაზრა).

ტყვიავი კარგა მოზრდილი სოფელია და შეიძლება ითქვას, რომ პატარა ლიახვის მარჯვენა ხეობის შუა გულია. როგორც ყოველ სოფლის შესახებ, ტყვიავის შესახებაც მრავალი დაიწერება, როგორც უარყოფითი ისე დადებითი, მ გრამ აქ მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებ მის ცხოვრების და შინაურ წყობილების რამდენიმე მხარეს. ერთი მხარეთაგანი იქნება თემის მოღვაწეობა და მოქმედება. იგი ახალი დაწესებულებაა და, რასაკვირველია, მრავალი ნაკლი ექნება, ჯერ თავის დანიშნულება გაურკვეველი აქვს. მასში თითქმის 15 სოფელი შედის, იგი პასუხის მგებელია ამ სოფლებისა, მრავალ საკულტურო საქმეებს უძღვება ავად თუ კარგად, მაგრამ მის მოქმედებაში ერთი დიდი ნაკლი შევნიშნე, რომელიც უეჭველად გამოსწორებულ უნდა იქმნას, ეს არის ის, რომ ტყვიავის თემი სასამართლო ფუნქციებს ითვისებს და არჩევს ისეთს საქმეებს, რაც მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობას შეადგენს. შეიძლება თემი ჰფიქრობდეს, რომ ამითი სამსახურს უწევენ ხალხს, უადვილებენ საქმეს, მეორე სოფელში გადასვლა არ უხდებათ (მოსამართლე ს. მეჯვარი სხევშია), მაგრამ ტემი უნდა ჰგრძნობდეს, რომ ამითი პრესტიჟი მოსამართლისა ბევრს ჰკარგავს, ხალხში იკარგება ის პატივისცემა, რასაც სამართლის წინაშე უნდა ჰგრძნობდეს.

მეორე სასიამოვნო და დადებით მხარედ უნდა აღინიშნოს, რომ რევოლიუციურ აღტყინების ხანამ უკვე განვლო და ხალხი დადებით მუშაობას შეუდგა, ჩაკვირვებულს და ნაყოფიერ. რევოლუციის დროს უხმოდ მავალი ინტელიგენტობა უკვე სულით და გულით დაუბრუნდა სოფელს და ხალხთან ერთად ეწევა შემოქმედებით კულტურულ მუშაობას. ერთი ამ მუშაობის ნაყოფი არის მეხილეთა ამხანაგობა. „პ. ლიახვის“ დაარსება. დიდიხანია ტყვიავი ქართლის საუკეთესო ხილის ცენტრათ ითვლებოდა, მაგრამ ამ სიმდიდრით ჯიბე სქელდებოდა და მხოლოდ ვაჭრებით და თვით მეხილეები კი ისევ იმ სიღარიბეში რჩებოდნენ, როგორც ბაღების გაშენებამდე. დღეს კი ეს კარგა შეიგნო ტყვიაველმა მებაღემ და დაარსა თავისი საზოგადოება რომლის მიზანი თ ვის ხელი თვითვე გაჰყიდოს, თვით გაასაღოს. სასიამოვნო, რომ მეხილეობათა უმრავლესობა ამ საზოგადოებას ნდობით შეჰხვდა და ის უნდობლობა, რომელიც წინად ემჩნეოდა ჩვენ ხალხს ინტელიგენციის მიმართ დღეს აღარ არის და ამ ნდობას ღირსეულად გამოიყენებენ ამ საზოგადოების მეთაურნი წარმართავენ საქმეს ხალხის და თვით მეხილეობის საკეთილდღეოთ. ამ საზოგადოების სათავეში სდგანან გამოცდილი მეურნე მებაღეები როგორიც არიან ნიკოლოზ ზაქ. კეცხოველი, დუმიშხან ნატროშვილი, ლევან ერისთავი, მაჭავარიანი და სხვა.

სასურველია ასეთი საზოგადოებანი სხვაგანაც არსდებოდეს, რომლის დახმარება ჩვენის აზრით დიდი იქნება.

მებაღე.

## ს. ახუთი.

(ზუგდ. მაზ.)

19 მარიამობისთვეს ახუთის სცენის მოყვარეთა მიერ ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა. დადგეს: ილ. ჭავჭავაძის „დედა და შვილი. ვ. ბალანჩივაძის „უბედური დღე“ და რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე აქორწილეს. წარმოდგინა ხალხი ბლომად დაესწრო, ასე რომ დარბაზში ტევა აღარ იყო. გარეშე სოფლებიდანაც მრავალი ჩამოვიდა. ბილეთები სულ გაიყიდა. ხალხი გათენებამდე არ დაშლილა. სამკითხველოს დარჩა წმიდა შემოსავალი 11,152 მანეთი და 2 კაპ.

მარტიშია.


## საავადმყოფო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

### მ ხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყოლანოვის ქ., 20, ვერაზე. . 3102. თვ.

## სხვაგან სად! თუ არ სასადილო =

# „ცამირში“!

(ყოფილი „ეკონომიას“) შტაბის ქუჩა

პუშკინის ბაღის პირდაპირ

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.

ვისადილოთ „ 12--6 ს.

ვივახშმოთ „ 6--12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.